

ფინანსური ანგარიშგება და პრაქტიკოსის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის შესახებ

შპს ქოფიშოპ ჯორჯია

2023 წლის 31 დეკემბერი



სარჩევი

პრაქტიკოსის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის შესახებ	3
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	8
1. ოპერაციების ბუნება და ზოგადი ინფორმაცია	8
2. შედგენის საფუძველი	8
2.1. განცხადება შესაბამისობის თაობაზე	8
2.2. მომზადების საფუძველი	8
2.3. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა	8
3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები	9
3.1. უცხოური ვალუტა	9
3.2. ძირითადი საშუალებები	9
3.3. არამატერიალური აქტივები	9
3.4. ძირითადი საშუალებების გაუფასურება	10
3.5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10
3.6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	10
3.7. იჯარა	10
3.8. სესხები და ოვერდრაფტები	11
3.9. შემოსავალი	11
3.10. გადასახადები	11
4. არამატერიალური აქტივები	12
5. ძირითადი საშუალებები	13
6. გადახდილი ავანსები	14
7. ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	14
8. სესხები	14
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14
10. სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15
11. სხვა არასაოპერაციო ზარალი	15
12. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები	15
14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	16
15. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	16
16. ფინანსური რისკის ფაქტორები	16

პრაქტიკოსის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის შესახებ

შპს გრანტ თორნტონ
ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო
ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC
54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia
T + 995 322 604 406

შპს „ქოფიშოპ ჯორჯიას“ ხელმძღვანელობას

კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემთა ბაზაში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე ჩვენ შევადგინეთ შპს „ქოფიშოპ ჯორჯიას“ („კომპანია“) ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამებას და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

კომპილაციური გარიგება შევასრულეთ დაკავშირებული მომსახურებების საერთაშორისო სტანდარტის (დმსს) 4410 (გადასინჯული), „კომპილაციური გარიგებები“ შესაბამისად.

ჩვენ გამოვიყენეთ ჩვენი ცოდნა და გამოცდილება ბუღალტერიასა და ფინანსურ ანგარიშგებაში, რათა დაგხმარებოდით მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაში. გარიგების შესრულებისას დავიცავით შესაბამისი ეთიკური მოთხოვნები, მათ შორის: პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და საქმისადმი კეთილსინდისიერი მიდგომის.

ვინაიდან, კომპილაციის გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება, ჩვენ არ გამოვხატავთ აუდიტორულ მოსაზრებას ან მიმოხილვის მოსაზრებას იმის თაობაზე, არის თუ არა მომზადებული ეს ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

პაატა შურღია
თანამმართველი პარტნიორი
2024 წლის 01 ოქტომბერი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართული ლარი	პენიშვნა	31 დეკემბერი 2023 წელი	31 დეკემბერი 2022 წელი გადაანგარიშებული	31 დეკემბერი 2021 წელი გადაანგარიშებული
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
არამატერიალური აქტივები	4	92,089	128,897	179,899
ძირითადი საშუალებები	5	384,340	755,787	932,891
სულ გრძელვადიანი აქტივები		476,429	884,684	1,112,790
მიმდინარე აქტივები				
მარაგები		68,407	66,369	263,300
გადახდილი ავანსები		50,961	30,564	10,343
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		77,230	46,384	49,765
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	7	42,263	21,374	30,043
სულ მიმდინარე აქტივები		238,861	164,691	353,451
სულ აქტივები		715,290	1,049,375	1,466,241
ვალდებულებები და კაპიტალი				
კაპიტალი				
დაგროვილი ზარალი		(416,705)	(1,091,334)	(1,307,577)
სულ კაპიტალი		(416,705)	(1,091,334)	(1,307,577)
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	8	127,540	1,251,131	1,977,466
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები		127,540	1,251,131	1,977,466
მიმდინარე ვალდებულებები				
მიღებული ავანსები		3,914	7,071	7,213
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		220,308	162,153	116,359
გადასახდელი ხელფასები		13,985	10,111	-
დარიცხული პროცენტები		744,619	677,945	634,457
საგადასახადო ვალდებულებები		21,629	32,299	38,322
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,004,455	955,490	797,567
მთლიანი ვალდებულებები		1,131,995	2,206,621	2,775,033
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		715,290	1,121,736	1,464,450

ხელმოწერა

დირექტორი

არმან გევორგიანი



სრული შემოსავლის ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნა	2023 წელი	2022 წელი გადაანგარიშებული
შემოსავალი რეალიზაციიდან		2,843,917	2,711,332
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება		(1,071,750)	(1,533,691)
მთლიანი მოგება		1,772,167	1,177,641
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები			
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები		(88,939)	(232,738)
გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები		(12,128)	(5,960)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(948,643)	(905,941)
სხვა საგადასახადო ხარჯები		(5,984)	(8,440)
სულ საოპერაციო ხარჯები		(1,055,694)	(1,153,080)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		716,473	24,561
კონვერტაციიდან მიღებული მოგება/(ზარალი)		(3,222)	(5,062)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)		25,813	332,633
საპროცენტო ხარჯი		(64,435)	(135,889)
მოგება გადასახადამდე		674,629	216,243
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება პერიოდისთვის		674,629	216,243
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სხვა სრული შემოსავალი პერიოდისთვის		674,629	216,243

ხელმოწერა

დირექტორი

არმან გევორგიანი



ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ქართული ლარი	წელი 2023	წელი 2022
ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან		
შემოსავლები საბანკო ოპერაციებიდან	3,072,153	2,768,270
შემოსავალი სალაროდან	269,581	319,500
სხვა საოპერაციო შემოსავლები	-	255,000
მთლიანად მიღებული	3,341,734	3,342,770
გადახდილი თანხები ადგილობრივ მომწოდებლებზე	(1,534,518)	(1,952,489)
გადახდილი თანხები უცხოელ მომწოდებლებზე	(310,605)	(313,834)
გადახდილი ხელფასები	(279,567)	(241,941)
გადახდილი საბიუჯეტო გადასახადი	(391,962)	(332,333)
გადახდილი საპენსიო გადასახადი	(11,991)	(10,353)
გადახდილი ბანკის საკომისიო	(3,812)	(4,436)
გადახდილი სხვა გადასახადი	(2,641)	(3,372)
მთლიანად გადახდილი	(2,535,096)	(2,858,758)
სულ ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან	806,638	484,012
ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(20,235)	(4,632)
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(20,235)	(4,632)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი სესხები	(711,729)	(483,681)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(711,729)	(483,681)
ფულადი სახსრების საწყისი ნაშთი	21,375	30,043
უცხოური ვალუტის ეფექტი ფულზე და მის ეკვივალენტებზე	(53,786)	(4,367)
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის ბოლოს	42,263	21,375

ხელმოწერა

დირექტორი

არმან გევორგიანი



საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ქართული ლარი	დაგროვილი მოგება/ (ზარალი)	სულ
2021 წლის 31 დეკემბერი	(1,307,577)	(1,307,577)
წლის მოგება	216,243	216,243
სულ მთლიანი შემოსავალი	216,243	216,243
2022 წლის 31 დეკემბერი	(1,091,334)	(1,091,334)
წლის მოგება	674,629	674,629
სულ მთლიანი შემოსავალი	674,629	674,629
2023 წლის 31 დეკემბერი	(416,705)	(416,705)

ხელმოწერა

დირექტორი

არმან გევორგიანი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ოპერაციების ბუნება და ზოგადი ინფორმაცია

შპს ქოფიშოპ ჯორჯია (შემდგომში „კომპანია“) დარეგისტრირდა 2017 წლის ივნისში როგორც მუშაუნა და მფლობელის საზოგადოება (რეგისტრაციისა და საგადასახადო ID: 439404672) საქართველოს რეგულაციების შესაბამისად და მდებარეობს საქართველოში.

კომპანიის რეგისტრაციის მისამართია: საქართველო, ადიგენის რაიონი, სოფელი უნწა, "ბაღები"

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა რესტორნები და საკვებით მომსახურების საქმიანობა.

კომპანიის დამფუძნებლები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არიან:

დამფუძნებელი	რეგისტრაციის ადგილი	2023 წლის 31 დეკემბერი
სტიოპა წარუკიან (BA0286043)	სომხეთი	31.67%
არმან გევორგიანი (AU0424286)	სომხეთი	31.66%
ონიკ მარტიროსიან (522249392)	აშშ	31.67%
გიორგი სტურუა (01026015588)	საქართველო	5%

2023 წლის განმავლობაში კომპანიაში თანამშრომლების საშუალო რაოდენობა იყო 75 ადამიანი.

2023 საანგარიშგებო წლისთვის საქართველოსი მოქმედი შესაბამისი რეგულაციების მიხედვით კომპანია წარმოადგენს მესამე ზომითი კატეგორიის საწარმოს.

2. შედეგის საფუძველი

2.1. განცხადება შესაბამისობის თაობაზე

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს-ს) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დამატებით, რომ კომპანია ოპერირებს მოქმედი საწარმოს პრინციპით.

2.2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდის საფუძველზე და ისტორიული ღირებულების კონვენციის შესაბამისად.

2.3. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, ვინაიდან ეს ვალუტა საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ძირითადი მოვლენებისა და ტრანზაქციების ეკონომიკურ შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში. ქართულ ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ლარამდე.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

3.1. უცხოური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული გაცვლითი კურსით, რომელიც 2023 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.6894 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 2.9753 ლარს. არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ფულადი მუხლებისთვის ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამოიყენება ადმინისტრაციული მიზნებისთვის და მოსალოდნელია, რომ გამოყენებულ იქნება ერთ წელზე მეტი პერიოდის განმავლობაში აისახება თვითღირებულებით გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იმპორტის გადასახდელებს და სხვა დაუბრუნებად გადასახადებს და სხვა პირდაპირ მისაკუთვნებულ ხარჯებს. როდესაც ძირითადი საშუალებები მოიცავს სხვადასხვა ძირითად კომპონენტს, რომლებსაც აქვთ განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა, ისინი აღირიცხება, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული ელემენტები.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიქმნება ძირითადი საშუალებების გასხვებისა და ან გაყიდვიდან, განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

ცალ-ცალკე აღრიცხული ძირითადი საშუალებების კომპონენტის შეცვლაზე გაწეული ხარჯი კაპიტალიზდება ჩამოწერილი კომპონენტის საბალანსო ღირებულებით. კიდევ ერთი შემდგომი ხარჯი კაპიტალიზდება, თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი წარმოიქმნება აღნიშნული დანახარჯებიდან. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის რემონტი და კეთილმოწყობა, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში გაწეული ხარჯის ოდენობის შესაბამისად.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას წრფივი მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება.

კომპანია იყენებს ამორტიზაციის წრფივი დარიცხვის მეთოდს და სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია შემდეგნაირად:

სატრანსპორტო საშუალება - 10 წელი;

საოფისე ტექნიკა ავეჯი და ინვენტარი - 4-5 წელი;

სხვა - 2-5 წელი.

3.3. არამატერიალური აქტივები

წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფასა და ფრანჩიზას, რომელიც ასახულია დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მათი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც რვა წელს შეადგენს.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ამორტიზაცია შესწორდება პერსპექტიულად.

3.4. ძირითადი საშუალებების გაუფასურება

ძირითადი საშუალებები განიხილება გაუფასურებისთვის, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილება მიუთითებს იმაზე, რომ მათი საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი თანხა არის ყველაზე მაღალი წმინდა გასაყიდ ფასსა და გამოყენების ღირებულებას შორის.

თუ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. ანაზღაურებადი თანხა არის ყველაზე მაღალი წმინდა გასაყიდ ფასსა და გამოყენების ღირებულებას შორის. გაუფასურების ზარალი აღიარებულია ხარჯად დაუყოვნებლივ.

როდესაც გაუფასურების ზარალი შემდგომში საპირისპიროდ იცვლება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის გაუფასურების გარეშე. გაუფასურების ზარალის საპირისპიროდ ცვლილება აღიარებულია შემოსავლად დაუყოვნებლივ.

3.5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით და შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით.

გაყიდვების უმეტესობა ხდება ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას არ ერიცხება პროცენტი.

3.6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „საშუალო შეწონილი“ მეთოდით.

3.7. იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება

მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

3.8. სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

3.9. შემოსავალი

შემოსავალი ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით და წარმოადგენს საქონლისა და მომსახურების ნორმალურ მსვლელობაში მიწოდებულ თანხებს, ფასდაკლებების, მოცულობის ფასდაკლებისა და გაყიდვებთან დაკავშირებული გადასახადების გარეშე.

საქონლის მიწოდება / მომსახურების გაწევა

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა რესტორნები და საკვებით მობილური მომსახურების საქმიანობები. კომპანია ძირითადად ეწევა მომსახურების საცალო რეალიზაციას და შემოსავლის აღიარება ხდება მომსახურების გაწევისთანავე. ცალკეულ შემთხვევაში კომპანია მომსახურებას უწევს იურიდიულ პირებს შესაბამისი შეთანხმებების საფუძველზე. ასეთი მიწოდებიდან/მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც სამუშაოს შესრულება მომსახურების სპეციფიკაციების შესაბამისად, კლიენტთან შეთანხმებული და დასრულებულია.

3.10. გადასახადები

საქართველოში მოქმედი დაბეგვრის მოდელი, („მოგების გადასახადით დაბეგვრის ესტონური მოდელი“) გულისხმობს მოგების გადასახადის ნულოვან განაკვეთს გაუნაწილებელ მოგებაზე და 15%-იან მოგების გადასახადის განაკვეთს განაწილებულ მოგებაზე. შედეგად, კომპანიები იხდიან კორპორაციულ საშემოსავლო გადასახადს მოგების განაწილებაზე (მოგება, რომელიც ნაწილდება აქციონერებზე დივიდენდების სახით) და ცალკეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს შემოსავლის არაპირდაპირ განაწილებად (სარგებელი, საჩუქრები, გადახდები, არასაბაზრო პირობებით განსაზღვრული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და ა.შ.).

კორპორატიული მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების განაწილებიდან, აღიარებულია ხარჯად იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადებულია დივიდენდები, მიუხედავად რეალური გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომელზედაც ნაწილდება დივიდენდები. გადასახადის განაკვეთი არის წმინდა განაწილების თანხის 15/85.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. აქედან გამომდინარე, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები, როგორც ეს განსაზღვრულია ბასს 12-ში საშემოსავლო გადასახადები, არ არის წარმოშობილი.

4. არამატერიალური აქტივები

ლარი	არამატერიალური აქტივები	სულ
ისტორიული ღირებულება		
01 იანვარი 2022 წელი	303,304	303,304
შესყიდვები	-	-
31 დეკემბერი 2022	303,304	303,304
შესყიდვები	-	-
ჩამოწერა	(8,641)	
31 დეკემბერი 2022	294,663	294,663
დაგროვილი ამორტიზაცია		
01 იანვარი 2022 წელი	123,405	123,405
პერიოდის ამორტიზაცია	51,002	51,002
31 დეკემბერი 2022	174,407	174,407
პერიოდის ამორტიზაცია	36,808	36,808
ჩამოწერა	(8,641)	(8,641)
31 დეკემბერი 2023	202,574	202,574
წმინდა საბალანსო ღირებულება		
31 დეკემბერი 2022	128,897	128,897
31 დეკემბერი 2023	92,089	92,089

5. ძირითადი საშუალებები

ლარი	ავეჯი და სხვა ინვენტარი	დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სხვა	იუჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სატრანსპორტო საშუალება	სულ
ისტორიული ღირებულება							
01 იანვარი 2022 წელი	287,452	336,880	2,712	86,706	479,532	474,168	1,667,449
შესყიდვები	276	2,791	455	1,110	-	-	4,632
ჩამოწერა	-	(254)	-	-	-	-	(254)
31 დეკემბერი 2022	287,728	339,417	3,168	87,816	479,532	474,168	1,671,827
შესყიდვები	80	8,474	2,332	1,304	1,780	6,266	20,235
ჩამოწერა	-	-	-	-	-	(480,434)	(480,434)
31 დეკემბერი 2023	287,807	347,891	5,499	89,119	481,311	-	1,211,628
დაგროვილი ცვეთა							
01 იანვარი 2022 წელი	251,752	225,638	2,190	65,515	123,496	65,968	734,559
პერიოდის ცვეთა	35,614	65,928	76	20,377	12,350	47,391	181,736
რეალიზ. ძირ. საშ. დაგროვილი ცვეთა	-	(254)	-	-	-	-	(254)
31 დეკემბერი 2022	287,366	291,312	2,266	85,892	135,845	113,359	916,041
პერიოდის ცვეთა	13	23,389	756	447	-	27,526	52,131
რეალიზ. ძირ. საშ. დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	(140,884)	(140,884)
31 დეკემბერი 2023	287,379	314,701	3,022	86,340	135,845	-	827,288
წმინდა საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2022	361	48,105	902	1,923	343,686	360,809	755,786
31 დეკემბერი 2023	429	33,189	2,477	2,780	345,466	-	384,340

6. გადახდილი ავანსები

საანგარიშო პერიოდის ბოლოს, გადახდილი ავანსები მოიცავს წინასწარ გადახდებს ადგილობრივი მომწოდებლებისთვის, აღნიშნული თანხა შეადგენს 50,961 ლარს.

7. ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში ბანკში წარმოდგენილია აშშ დოლარსა და ევროში. შეადგენს 2.9 აშშ დოლარსა და 106.05 ევროს.

	31 დეკემბერი 2023 წელი	31 დეკემბერი 2022 წელი
ნაღდი ფული ხელზე	9,502	13,507
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	31,404	7,433
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	1,357	435
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	42,263	21,375

8. სესხები

სესხის ტიპი	წლიური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	ვალუტა	ნაშთი 2023 წელი	ნაშთი 2022 წელი
არაუზრუნველყოფილი სესხები			აშშ დოლარი	127,540	826,812
დაკავშირებული მხარისგან	8%	განუსაზღვრელი	ევრო	-	366,319
			ლარი	-	58,000
სულ სესხები				127,540	1,251,131

კომპანიას სესხი აღებული აქვს დამფუძნებლებისგან, არმან გევორგიანი (31.66%), სტიოპა წარუკიან (31.67%) და ონიკ მარტიროსიანისგან (31.67%) კომპანიის ბიზნეს-საქმიანობის წარმართვის მიზნით.

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღიარებულია ტრანზაქციის ფასით. ყველა სავაჭრო ვალდებულება ნორმალური საკრედიტო პირობებით არის განსაზღვრული და დამატებითი პროცენტი არ ერიცხება.

	31 დეკემბერი 2023 წელი	31 დეკემბერი 2022 წელი
სავაჭრო ვალდებულებები	47,902	225,368
მთლიანი სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	47,902	225,368

სავაჭრო ვალდებულებები - მოიცავს ვალდებულებას უცხოური და ზოგიერთი ქართული კომპანიებისგან შეძენილი სერვისებიდან/პროდუქტებიდან შესაბამისი პერიოდის ბოლოს.

10. სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	2022 წელი	2022 წელი გადაანგარიშებული
იჯარა	214,188	236,936
შრომის ანაზღაურება	361,529	327,246
საპენსიო ხარჯი	5,748	5,116
კომუნალური ხარჯები	102,619	105,920
ბანკის მომსახურება	45,803	43,239
საკონსულტაციო ხარჯები	40,988	56,117
კომპიუტერული მომსახურება	748	978
საოფისე ინვენტარი	271	861
სხვა ხარჯები	176,749	129,528
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	948,643	898,730

11. სხვა არასაოპერაციო ზარალი

ლარი	2023 წელი	2022 წელი
პარტნიორებისგან გრძელვადიანი სესხების საპროცენტო ხარჯები	64,435	135,889
არასაოპერაციო ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	123,932	-
მთლიანი საპროცენტო ხარჯები	188,368	135,889

12. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

კომპანიას ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს შენობა, რმელშიც ამუშავებს კაფეს.

იჯარის პირველადი ვადა ხელშეკრულების მიხედვით წარმოადგენდა 5 წელს, რომელიც ამოიწურა 2022 წლის 01 ოქტომბერს, ამის შემდგომ, ამავე ხელშეკრულების საფუძველზე მხარეთა შეთანხმების შედეგად ქირავნობის ვადა გაიზარდა 2 წლით. ყოველთვიური ქირავნობის საფასური ხელშეკრულების თანახმად შეადგენს: პირველი წელი 4,667.00 აშშ დოლარი, ხოლო 1 წლიდან ვადის გასვლამდე 8,000 აშშ დოლარი.

მიმდინარე წელს იჯარის ხარჯად აღიარებულია 214,188 ლარი.

13. ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშება

გასული პერიოდის მონაცემების დაზუსტების შედეგად მოხდა შემდეგი მუხლების გადაანგარიშება:

2021 წლის ფინანსურის მდგომარეობის ანგარიშგების მუხლების გადაანგარიშება	2021 წელი	2021 გადაანგარიშება	2021 გადაანგარიშებული
მარაგები	264,024	(724)	263,300
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	47,250	2,515	49,765
დაგროვილი ზარალი	(1,310,583)	3,006	(1,307,577)
მიღებული ავანსები	8,246	(1,033)	7,213
საგადასახადო ვალდებულებები	38,505	(183)	38,322

2022 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლების გადანაგარიშება	2022 წელი	2022 გადაანგარიშება	2022 გადაანგარიშებული
მარაგები	137,520	(71,151)	66,369
ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები	19,045	11,519	30,564
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	59,112	(12,728)	46,384
დაგროვილი ზარალი	(1,084,885)	(6,449)	(1,091,334)
მიღებული ავანსები	9,181	(2,110)	7,071
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	225,368	(63,215)	162,153
საგადასახადო ვალდებულებები	32,885	(586)	32,299

2022 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლების გადანაგარიშება	2022 წელი	2022 გადაანგარიშება	2022 გადაანგარიშებული
შემოსავალი რეალიზაციიდან	2,713,575	(2,243)	2,711,332
საერთო და აღმინისტრაციული ხარჯები	(898,730)	(7,211)	(905,941)

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

15. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

კომპანიას ჰყავს დაკავშირებული კომპანია - შპს „ქოფიშოპ კომპანი თბილისი“, საიდენტიფიკაციო ნომერი: 405332769.

შპს „ქოფიშოპ ჯორჯიას“ (439404672) 1/3 წილის მფლობელი, სომხეთის მოქალაქე ბატონი არმან გევორგიანი (BA0996485 /სომხეთი), აგრეთვე ფლობს შპს „ქოფიშოპ კომპანი თბილისის“ (405332769) წილის 50%-ს. ამავე დროს, ბატონი არმან გევორგიანი ორივე კომპანიის დირექტორია.

კომპანიამ შპს ქოფიშოპ კომპანი თბილისზე 2023 წელს გაყიდა 99,068 ლარის ღირებულების საქონელი. ასევე ხდება ფრანჩიზის მომსახურების (სახელის გამოყენების შესაძლებლობის) გაყიდვა. აღნიშნული მომსახურების თანხამ 2023 წელს შეადგინა 170,015 ლარი.

2023 წლის ბოლოს კომპანიის დავალიანება შპს ქოფიშოპ ჯორჯიას მიმართ შეადგენს 67,541 ლარს.

16. ფინანსური რისკის ფაქტორები

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკს ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო და კონკრეტულად სავალუტო, საპროცენტო განაკვეთისა და სხვა ფასთან დაკავშირებული რისკებს, რომელიც გამოწვეულია, როგორც საოპერაციო აგრეთვე, საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანია განახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი. საკურსო სხვაობები ძირითადად წარმოიშობა კომპანიის სესხებიდან, იჯარიდან და უცხოელი მომწოდებლებიდან, რომლებიც დენომინირებულია აშშ დოლარსა და ევროში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან მისი საქმიანობის შედეგებზე.

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანია არ ექვემდებარება მატერიალური საპროცენტო განაკვეთის რისკს.

a) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესო ვალდებულება.